შედგა უწმინდესი პატრიარქის კირილეს შეხვედრა ლიბანის ელჩთან

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.11.2022. 29 ნოემბერს მოსკოვში დანილოვის სტავროპიგიალური მამათა მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში შედგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრარქის კირილეს შეხვედრა ლიბანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რუსეთის ფედერაციაში შაუკი ბუ ნასართან.

შეხვედრას ესწრებოდა სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი.

მისასალმებელ სიტყვაში ლიბანის ელჩმა მადლობა გადაუხადა უწმინდეს პატრიარქ კირილეს რუსეთის

მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვართან საუბრის შესაძლებლობისთვის.

„ჩემთვის, როგორც ჩემი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლისთვის, ისე პირადად ჩემთვის, დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა. ვიცი, რომ თქვენ განასახიარებთ ნამდვილ სულიერ სიმბოლოს არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელს მსოფლიოში. კერძოდ, ვიტყვი, რომ ასეთ სიმბოლოს თქვენ წარმოადგენთ ლიბანისთვის“, – ბრძანა ელჩმა.

შაუკი ბუ ნასარმა აღნიშნა, რომ ლიბანი თითქმის ერთადერთი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ყველა კონფესიის წარმომადგენელი ერთანაირი უფლებით სარგებლობს.

„ლიბანი თითთქმის ერთადერთი სახელმწიფოა არა მხოლოდ არაბულ რეგიონში, არამედ მთელს შუა აღმოსავლეთში, რომლის პრეზიდენტიც ქრისტიანია“, – თქვა დიპლომატმა. – ასევე პარლამენტსა და მთავრობაში ჩვენთან უზრუნველყოფილია ქრისტიანებისა და მუსულმანების თანაბარი წარმომადგენლობა. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ საკვანძო პოზიციებზე, მათ შორის გენერალური შტაბის უფროსის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის თანამდებობებზე ტრადიციულად ინიშნებიან ქრისტიანობის წარმომადგენლები“.

ელჩმა აღნიშნა, რომ ახლახან ჰქონდა საშუალება, შეხვედროდა და ესაუბრა ლიბანის პრემიერ-მინისტრთან მიკატთან, რომელმაც მას თბილი სიტყვები და კეთილი სურვილები გადასცა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესთვის.

„ჩვენი ქვეყანა რთულ კრიზისულ პერიოდს გადის, რომლის პირობებშიც ჩვენი მეგობრების დახმარებას ვსაჭიროებთ. <...> ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერის იმედი ვიქონიოთ, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობები გვაკავშირებს“, – აღნიშნა ელჩმა.

„დარწმუნებილი ვარ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინის ბრძნული ხემძღვანელობით, ასევე პატრიაქ კირილეს ბრძნული სულიერი რჩევა-დარიგებებით რუსეთი შეძლებს, გადალახოს მის წინაშე მდგარი სიძნელეები და გამოწვევები“, – თქვა შაუკი ბუ ნასარმა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა მაღალ სტუმარს მადლობა გადაუხადა კეთილი სიტყვებისთვის და აღნიშნა, რომ ლიბანი უნიკალური სახელმწიფოა, სადაც მშვიდობიანად თანაარსებობენ, თანამოქმედებენ და აქტიურად არიან ჩართულნი სახელწმიფო სტრუქტურებში როგორც ქრისტიანები, ისე მუსულმანები.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სტუმარს ასევე გაუზიარა ლიბანში თავის ვიზიტთან დაკავშირებული

მოგონებები. „იმ შორეულ დროში ლიბანი ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა როგორც ადამიანთა ცხოვრების დონით, საერთო კულტურით, ისე, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანაში არსებული რელიგიათაშორისი მშვიდობით. შემდეგ ლიბანს დიდი განსაცდელები ეწია. ჩვენ თანავუგრძნობდით ლიბანელ ხალხს თავსმოწეულ მძიმე ვითარებებში. საბედნიეროდ ის დრო გავიდა. დღეს ლიბანს ღირსეული ადგილი უჭირავს ერების ოჯახში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მათ შორის, ბალანსის შენარჩუნებაში ახლო აღმოსავლეთში“, – ხაზი გაუსვა მისმა უწმინდესობამ.

საუბრის მსვლელობისას პატრიარქმა კირილემ აცნობა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დიდი სიხარულია, იხილოს დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის წარმომადგენლის რანგში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ფილიპოპოლის მიტროპოლიტი ნიფონი, რომელიც ამ პოსტზე უკვე 45 წელი იმყოფება.

„მეუფე ნიფონი თქვენი ეკლესიის წარმომადგენელია და ამავე დროს ჩვენი დიდი მეგობარია“, – უთხრა სტუმარს უწმინდესმა მეუფემ. თქვენი წარმომადგენლი დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობს, 45 წელია ღირსეულად წარმოადგენს ლიბანს, ლიბანის ხალხს და ლიბანის ქრისტიანებს რუსეთში. ეს უნიკალური შემთხვევაა, და ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ მეუფე მიტროპოლიტი აქ ისე გრძნობს თავს, როგორც სახლში, რადგან გარკვეული აზრით რუსეთი მისი სახლიც გახდა“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა აღნიშნა კეთილი ურთიერთობები რუსეთისა და ლიბანის მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის და ხაზი გაუსვა, რომ თავის მხრივ მოსკოვის საპატრიარქო მზდ არის მომავალშიც ხელი შეუწყოს ამ კავშირების განვითარებას.

„რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავისი ძალებისაებრ ცდილობდა და ცდილობს, დაეხმაროს ლიბანის ქრისტიანებს. მინდა დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი კეთილი დამოკიდებულება როგორც ლიბანის სახელმწიფოს, ისე მართლმადიდებელი ხალხისადმი და, საერთოდ, ლიბანის მთელი მოსახლეობისადმი – ეს მტკიცე და მუდმივი გრძნობაა“ – კონსტატირება გააკეთა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს პრეს-სამსახურის ფოტო

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89848/